ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. შ., წარმომადგენელი - ი. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.08.2013

საჩივრის რეგისტრაციის №111/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. ქ.-ის მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. ქ. – ისათვის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2013 წლის 23 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. შ. - მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. ქ. - ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ვ. ქ. – მ თავისი ინტერესები დააყენა პროფესიულ ინტერესებზე მაღლა, ყველანაირი პასუხისმგებლობა აირიდა და სასამართლო პროცესამდე უარი თქვა მის დაცვაზე.

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი 2012 წლის 05 ივნისს დააკავეს ქალაქ ოდესაში და მისი მეგობრის, ბ. კ. – ის შუამდგომლობით, 2012 წლის 03 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება ადვოკატ ვ. ქ. – სთან მ. შ. დაცვის თაობაზე.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ვ. ქ. მის საქმეს აწარმოებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლომ მას დაუსწრებლად მიუსაჯა 7 (შვიდი) წელი.

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ვ. ქ. მასთან საქმიან ურთიერთობას აწარმოებდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, კერძოდ, რუსთავის №17 საპყრობილეში.

1.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ვ. ქ. – სთან მოლაპარაკებას მისი ოჯახის წევრებიდან უშუალოდ მისი მეუღლე აწარმოებდა, რომელმაც საქმის დაწყებამდე, 2012 წლის 25 ივნისს ადვოკატს გადასცა 1500 (ათას ხუთასი) ლარი.

1.7. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატთან მისი შეხვედრა მოხდა მისი საქართველოში ექსტრადაციის შემდეგ, 2013 წლის 10 თებერვალს. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გამოუცხადა ნდობა და ეჭვი არ შეუტანია მის კომპეტენტურობაში, პატიოსნებაში, შეუვალობასა და მიუკერძოებლობაში.

1.8. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ვ. ქ. – მ, მასთან შეუთანხმებლად, საჩივრის ავტორის ოჯახს დამატებით მოსთხოვა თანხა 900 (ცხრაასი) აშშ დოლარის ოდენობით, რომელზეც მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შეთანხმება არ ყოფილა. საჩივრის ავტორის ოჯახმა ადვოკატს გადაუხადა ზემოაღნიშნული თანხა და ამის შემდეგ ადვოკატმა საჩივრის ავტორის დაცვა უმიზეზოდ შეწყვიტა.

1.9. 2014 წლის 29 მარტს საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატი გ. ტ. იყო მისი ოჯახის ახლობელი და როდესაც მისი მეუღლის საქმეზე პროცესები უკვე დაწყებული იყო და გ. იმყოფებოდა მასთან ერთად, მისი შვილის თხოვნითა და გ. – სთან შეთანხმებით, დაურეკა ადვოკატ ვ. ქ. – ს და სთხოვა შეხვედრა, თუმცა, მას იმ დროს არ ეცალა. გ. ტ. – მა უთხრა, რომ სანამ საქმეში ჩართვას გადაწყვეტდა, მას ჯერ მ. შ. უნდა ენახა. ი. შ. კიდევ დაურეკა ვ. ქ. – ს, რომელმაც უთხრა, რომ არ ეცალა და შესთავაზა 01 მაისს სასამართლო სხდომის დაწყებამდე ადრე მისვლა და შეხვედრა. 01 მაისის სასამართლო პროცესზე მ. შ. ინტერესები ადვოკატ ვ. ქ. – ს უნდა წარმოედგინა, მაგრამ საქმეში ადვოკატი გ. ტ. – ც უნდა ჩართულიყო. ადვოკატ ვ. ქ. – ისთვის აღნიშნული წინასწარ იყო ცნობილი. 01 მაისს ადვოკატი ვ. ქ. გაღიზიანებული ჩანდა, მათ ისაუბრეს, შემდეგ მოვიდა ადვოკატი გ. ტ. და ადვოკატებს შორის კოლეგიალური საუბარი შედგა. გ. ტ. – მა ვ. ქ. – ს უთხრა, რომ მოცულობითი საქმე იყო, იმ დღეს რამდენიმე მოწმე უნდა დაკითხულიყო და ადვოკატ ვ. ქ. – ს შესთავაზა სხდომის გადადება, ვინაიდან ის იმ დღეს საქმეში ჩასართავად მზად არ იყო. პროცესი უკვე იწყებოდა, როდესაც ადვოკატებს შორის ეს საუბარი მიმდინარეობდა, მაგრამ 30 აპრილს ადვოკატი გ. ტ. , მისი ადვოკატის სტატუსით შესული იყო მ. შ. – სთან ამ უკანასკნელის აზრის გასაგებად.

1.10. მ. შ. განმარტებით, 01 მაისის სხდომაზე, ვ. ქ. – სა და გ. ტ. – ს ერთად ელოდებოდა, მას ეგონა, ადვოკატები საქმეს ერთად გააგრძელებდნენ, ვინაიდან ადვოკატი გ. ტ. შევიდა მასთან და მან იცოდა, რომ ის საქმეში ერთვებოდა.

1.11. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ის ვ. ქ. – ის საადვოკატო მომსახურებით კმაყოფილი იყო, ადვოკატ გ. ტ. – ს საქმეში ჩართვა მიზნად ისახავდა დაცვის პოზიციის გაძლიერებას და იყო მისი და ოჯახის ერთობლივი გადაწყვეტილება. ადვოკატები 01 მაისს ერთობლივად შეთანხმდნენ სხდომის გადადებაზე. ადვოკატმა ვ. ქ. – მ განაცხადა, რომ მას ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა და ეს მოტივი ეთქვა სასამართლოსთვის ადვოკატ გ. ტ. – ს და დატოვა სასამართლოს შენობა. ამის შემდეგ სხდომა გადაიდო, ი. შ. დაურეკა ვ. ქ. – ს, მაგრამ ის ტელეფონზე არ პასუხობდა, ასევე, დაურეკა ოჯახის ახლობელს და მისი დახმარებით შეეცადა საკითხის გარკვევას. ი. შ. – მ ოჯახის ახლობლისაგან - ბ. კ. – სგან შეიტყო, რომ ვ. ქ. მისი მეუღლის დაცვას აღარ აგრძელებდა. წარმომადგენლის განმარტებით, მას არ უნდოდა ვ. ქ. – ს საადვოკატო მომსახურება შეეწყვიტა, რადგან მასთან მუშაობისას თავს კომფორტულად გრძნობდა. მან ადვოკატს გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური, ადვოკატს ენდობოდა და რომ არ სდომოდა მის მიერ მისი მეუღლის დაცვა, თავად შეწყვეტდა მომსახურების ხელშეკრულებას.

1.12. მ. შ. განმარტებით, მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ადვოკატ ვ. ქ. – ის გადაწყვეტილება, მით უმეტეს, ის არ შესულა მასთან ციხეში და არ უთქვამს, არ განუმარტავს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ვ. ქ. – მ წერილობითი ახსნა-განმარტებით 2013 წლის 10 სექტემბერს მომართა სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას, რომლის თანახმად, მას მ. შ. არ მიუტოვებია პროცესის წინ, პირადი ინტერესები არ დაუყენებია პროფესიულ ინტერესებზე მაღლა, პასუხისმგებლობისათვის თავი არ აურიდებია, ასევე კლიენტი არ დაუტოვებია ახსნა-განმარტებისა და გაფრთხილების გარეშე. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ის საჩივრის ავტორის ერთადერთ პრეტენზიას ეთანხმება, მისი დაცვის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციის უშუალოდ კლიენტისათვის მიუწოდებლობის თაობაზე, თუმცა, მის გადაწყვეტილებას ჰქონდა კანონიერი საფუძველი. ადვოკატის განმარტებით, მან იმოქმედა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და ბ. კ. – ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის ტექსტიც გამოქვეყნებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე და რეკომენდირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2012 წლის ივნისის ბოლოს მას დაუკავშირდა მისი მეგობარი ბ. კ. და სთხოვა, იურიდიული დახმარება გაეწია და სასამართლოში დაეცვა მ. შ., რომელიც დაკავებული იყო უკრაინაში და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაუსწრებლად ჰქონდა სასჯელი დაკისრებული.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მან გაითვალისწინა მ. შ. – სა და მისი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა, ასევე მისი ურთიერთობა ბ. კ. – სთან და ამის მიხედვით მოხდა მხარესთან ადვოკატის გასამრჯელოზე შეთანხმება. ადვოკატის განცხადებით, შეთანხმების შედეგად, მომსახურების საფასურად პირველ ეტაპზე განისაზღვრა 1500 (ათას ხუთასი) ლარი; მეორე ეტაპზე, როდესაც მომზადდებოდა სააპელაციო საჩივარი და შევიდოდა

სასამართლოში, მომსახურების ჰონორარი კვლავ იქნებოდა გადასახდელი 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო თუ სასამართლო დამთავრდებოდა მხარისათვის სასურველი შედეგით, ჰონორარს დაემატებოდა კიდევ 1000 (ათასი) ლარი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2012 წლის 03 ივლისს ბ. კ. სა და მას შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, ადვოკატმა სწორედ ბ. კ. – საგან მიიღო მომსახურების საფასური და მას არანაირი მოლაპარაკება არ უწარმოებია მ. შ. – ს მეუღლესთან, ი. შ. – სთან.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2013 წლის მარტის ბოლოს მან მიიღო 900 (ცხრაასი) აშშ დოლარი საჩივრის ავტორის მეუღლისგან, ი. შ. – სგან. აღნიშნულ თანხაზე ადვოკატსა და ბ. კ. – ს შორის შეთანხმება გაფორმდა 2013 წლის 11 თებერვალს.

2.6 ადვოკატის განცხადებით, 2013 წლის თებერვალში მოხდა მ. შ. თბილისში ექსტრადაცია და მისი შესახლება სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში, ხოლო სააპელაციო საჩივარი მომზადდა და სასამართლოში შევიდა 2013 წლის 07 მარტს.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მან 04 სექტემბერს მიმართა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას და მოითხოვა მონაცემები, რომლითაც დადასტურდება მისი სამუშაო პაემნების რაოდენობა მ. შ. – სთან. ამავე ინფორმაციით დადასტურდება ის, რომ ამა წლის 30 აპრილს მ. შ. - ს სტუმრობდა მისთვის უცნობი ადვოკატი, მასთან შეუთანხმებლად.

2.8 ადვოკატის განცხადებით, სასამართლო პროცესი დაიწყო 2013 წლის 10 აპრილს და მისი მონაწილეობით ჩატარდა სამი სხდომა.

2.9 ადვოკატის განმარტებით, 2013 წლის 29 აპრილს, საღამოს საათებში ადვოკატს დაუკავშირდა ი. შ. და სთხოვა შეხვედრა, რადგან მისი ოჯახის ახლობელ ადვოკატს აინტერესებდა საქმის ვითარება და ჰქონდა გარკვეული კითხვები. ადვოკატის განცხადებით, მას იმ საღამოს არ ჰქონდა დრო და სთხოვა 01 მაისს სასამართლოში შეხვედრა, სანამ სხდომა დაიწყებოდა. ადვოკატმა გამოხატა მზადყოფნა, ოჯახის ახლობლისათვის გაეცნო საქმის ვითარება და კითხვებზე გაეცა პასუხები.

2.10 ადვოკატის განმარტებით, 01 მაისს იგი მივიდა სასამართლოში ერთი საათით ადრე, ცოტა ხანში იქ მივიდა ი. შ. – ც და მიიყვანა ოჯახის ახლობელი ადვოკატი, გ. ტ. , რომლმაც საქმის გაცნობის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ საქმეს უჭირდა, უნდა შემუშავებული სხვა ტაქტიკა, რათა პროცესი მოეგო მხარეს. გ. ტ. – მა ასევე აღნიშნა, რომ 30 აპრილს იგი იმყოფებოდა მ. შ. – სთან და სჭირდებოდა დრო საქმის შესასწავლად და მოწმეების დასაკითხად მოსამზადებლად და სასამართლო პროცესი უნდა გადადებულიყო, მაშინ, როდესაც უკვე მიმდინარეობდა მოწმეების დაკითხვა.

2.11 ადვოკატის განმარტებით, გ. ტ. – ს არ აღმოაჩნდა მხოლოდ კითხვები, ის უკვე ჩართულიყო საქმისწარმოებაში და ეს ყველაფერი ხდებოდა მასთან შეუთანხმებლად, რითაც ადვოკატი გ. ტ. არღვევდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლს და მე-10 მუხლის პირველ და მე-4 ნაწილებს.

2.12 ადვოკატის განმარტებით, მისი სამუშაო გეგმის გათვალისწინებით, არ მიაჩნდა მიზანშეწონილად სასამართლო სხდომის გადადება, მაგრამ ი. შ. და გ. ტ. დაჟინებით მოითხოვდნენ სხდომის გადადებას. ადვოკატმა მათ შესთავაზა, რომ ადვოკატ გ. ტ. – ს, რომელსაც სასამართლოსათვის უკვე წარდგენილი ჰქონდა ორდერი და შუამდგომლობა, სასამართლოზე განეცხადებინა, რომ ადვოკატ ვ. ქ. – ს ჰქონდა ჯანმრთელობის

პრობლემა, ხოლო ის ახლად ჩართული იყო პროცესში და დრო სჭირდებოდა საქმის გასაცნობად. ამ საფუძვლებით უპრობლემოდ გადაიდებოდა სასამართლო სხდომა. ადვოკატის განცხადებით, მან ამის შემდეგ სასწრაფოდ დატოვა სასამართლოს ტერიტორია, რადგან პროცესის პროკურორი ჯერ კიდევ არ იყო მისული იქ და არასასურველი იყო მასთან სასამართლოს ტერიტორიაზე შეხვედრა.

2.13 ადვოკატის განცხადებით, ამის შემდეგ იგი დაუკავშირდა ბ. კ. – ს და სთხოვა შეხვედრა. ადვოკატმა ბ. კ. – ს აუხსნა, რომ ვეღარ შეძლებდა პროცესში შემდგომ მონაწილეობას და ამასთანავე მას გადასცა ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მომზადებული იყო სასამართლოში წარსადგენად. ადვოკატმა ბ. კ. – ს განუცხადა, რომ თუკი ადვოკატ გ. ტ. – ს ექნებოდა შეკითხვები საქმესთან დაკავშირებით, მზად იყო კონსულტაციის გასაწევად.

2.14 ადვოკატის განმარტებით, ამის შემდეგ მას დაუკავშირდა ი. შ. და სთხოვა მისი გადაწყვეტილების მიზეზების ახსნა და სასამართლო პროცესში მონაწილეობის გაგრძელება. ადვოკატმა მას აუხსნა ის მიზეზები, რის გამოც ის ვერ მიიღებდა სასამართლო პროცესში მონაწილეობას ვინმე სხვა ადვოკატთან ერთად, თუნდაც ,,დამხმარე“ პირი ყოფილიყო, რომ არ ჰქონდა არანაირი პრობლემა პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით და არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა სასამართლო პროცესში სხვა ადვოკატის ჩართვა.

2.15 ადვოკატის განმარტებით, ჯერ კიდევ ადრე, სანამ სააპელაციო საჩივარი მომზადდებოდა, ი. შ. უთხრა, რომ უნდოდა საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვა. ადვოკატმა მას აუხსნა, რომ მისი შესაძლებლობები არ იწვევდა იმის აუცილებლობას, რომ სხვა ადვოკატი დაექირავებინათ. ასევე, მათი ფინანსური შესაძლებლობები არ იქნებოდა საკმარისი სხვა ადვოკატის დაქირავებისთვის და მათი მხრიდან იქნებოდა გაუმართლებლად ზედმეტი ხარჯის გაწევა. ი. შ. გაითვალისწინა ადვოკატის რჩევა და დაეთანხმა მას.

2.16 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მიუხედავად მისი ახსნა-განმარტებისა, ი. შ. კატეგორიულად მოითხოვდა, რომ მას პროცესში მონაწილეობა მიეღო გ. ტ. – თან ერთად, რაზეც მას ადვოკატმა უარი უთხრა.

2.17 ადვოკატის განმარტებით, მან ბევრჯერ დაუსვა ერთი შეკითხვა მ. და ი. შ. – ებს, თუ სხვა რა მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ მას შეეწყვიტა სასამართლო პროცესში მონაწილეობა, მაგრამ ამ შეკითხვაზე პასუხი არ მიუღია. ადვოკატი კოლეგიის ყურადღებას ამახვილებს ი. შ. ნათქვამზე ბ. კ. – სთან ერთობლივი შეხვედრისას, რომ მან ახლობლებთან ერთად იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება დამატებითი ადვოკატის დაქირავების თაობაზე, რადგან ვ. ქ. სასამართლო პროცესს წარმართავდა ,,მინორულად“ და ,,პროცესზე ვერ ანთებდა ცეცხლს.“

2.18 ადვოკატის განმარტებით, მას არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და ი. შ. დაარღვია რა იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე დადებული ხელშეკრულების 3.2.9 მუხლის მოთხოვნა, ის იძულებული იყო ემოქმედა ხელშეკრულების 3.2.10 მუხლის შესაბამისად, რასაც მიიჩნევს მართლზომიერად.

2.19 2014 წლის 29 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ ძალიან გაღიზიანდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ სხვა ადვოკატს არა მარტო შეკითხვები ჰქონდა მასთან შეხვედრისას, პროცესის წინ, არამედ საქმეში უკვე ჩართული ყოფილა. ეს შეურაცხყოფად მიიღო. ამასთან, იმ პერიოდში ოჯახის წევრი გარდაეცვალა, რთული

პერიოდი ჰქონდა და ნაწილობრივ ამანაც გამოიწვია მის მიერ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღება.

2.20 ადვოკატის განმარტებით, მან საკუთარი გადაწყვეტილება აცნობა ბ. კ. – ს, საკუთარ კლიენტთან საერთო ახლობელს და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირს და მოგვიანებით მის მეუღლეს, ქალბატონ ი. შ. – ს. მისთვის მიუღებელი იყო საქმის წარმოების იმ ეტაპზე საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვა მასთან შეუთანხმებლად და მომავალში მასთან ერთად მუშაობა.

2.21 ადვოკატის განმარტებით, მას 20 მარტიდან შეჩერებული აქვს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2013 წლის 29 ნოემბერს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. ქ. – ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ვ. ქ. – მ მ. შ. – ს დაცვის განხორციელება შეწყვიტა უშუალოდ კლიენტის ინფორმირების გარეშე, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეექვსე ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ადვოკატი ვ. ქ. იცავდა მსჯავრდებულ მ. შ. –ს ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე ყველა ინსტანციის სასამართლოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2012 წლის 03 ივლისის ხელშეკრულება
- 2013 წლის 11თებერვლის ხელშეკრულება
- 2012 წლის 03 ივლისის ორდერი N66
- 2013 წლის 11 თებერვლის ორდერის ყუა N66[ა]

4.2 ადვოკატი ვ. ქ. არ გამოცხადდა 2013 წლის 01 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სასამართლო პროცესზე და შეწყვიტა მ. შ. დაცვა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- განხილვის კოლეგიის 2014 წლის 29 მარტის სხდომის ოქმში მოცემული მხარეთა განმარტებები

4.3 საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შესახებ ადვოკატმა ვ. ქ. – მ ინფორმაცია მიაწოდა ბ. კ. – ს და მოგვიანებით ი. შ. – ს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- განხილვის კოლეგიის 2014 წლის 29 მარტის სხდომის ოქმში მოცემული მხარეთა განმარტებები

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. ქ. – ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ვ. ქ. – მ დაარღვია შემდეგი მუხლები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია..., რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“.

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ“.

6.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ დაცვის განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშვება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი. სსსსკ-ის 41–ე მუხლის მიხედვით, ,,ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.“ მოცემულ შემთხვევაში, ვ. ქ.

სთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს მ. შ. – სა და ვ. ქ. – ის საერთო მეგობარი - ბ. კ. .

6.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე №029/11 დაადგინა, რომ: ,,კლიენტს წარმოადგენს პირი, რომლის ინტერესების დაცვის ვალდებულებასაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით იღებს ადვოკატი. ადვოკატთან კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას, აღნიშნული პირი წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც ევალება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მაგრამ ადვოკატს ვალდებულები უშუალოდ წარმოეშვება იმ პირის მიმართ, ვისი დაცვაც უნდა განახორციელოს ამ ხელშეკრულების თანახმად. შესაბამისად, ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობად ითვლება ადვოკატისა და იმ პირის ურთიერთობა, უშუალოდ ვისი სახელითაც მოქმედებს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.“

6.4 ეთიკის კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ ,,პროფესიული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად, ადვოკატს ვალდებულებები ეკისრება კლიენტის წინაშე და ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მისი საქმის წარმოებასთან არის დაკავშირებული უშუალოდ მას უნდა შეუთანხმოს, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე ინფორმირებულია თავად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.“

6.5 მოცემულ შემთხვევაში ბ. კ. წარმოადგენს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს და კლიენტთან ურთიერთობაში მყოფ უფლებამოსილ პირს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის. მოცემული ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი ახორციელებდა მ. შ. დაცვას, შესაბამისად, კლიენტად მიიჩნევა მ. შ. და ადვოკატს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით კლიენტის მიმართ გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა უშუალოდ კლიენტის წინაშე ეკისრება.

6.6 ადვოკატი მის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ 2013 წლის 10 სექტემბრის ახსნა-განმარტებაში და 2014 წლის 29 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე აღნიშნავს, რომ დაცვის განხორციელების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხელშეკრულების მხარეს, ბ. კ. ს და მოგვიანებით კლიენტის მეუღლეს, ი. შ. – ს მიაწოდა და მიიჩნია, რომ მის მიერ არ დარღვეულა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატმა ვ. ქ. – მ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს, ბ. კ. ს და კლიენტის მეუღლეს მიაწოდა, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის - მ. შ. უშუალოდ ინფორმირების ვალდებულება, ვინაიდან ადვოკატს ევალებოდა შეხვედროდა კლიენტს და პირადად მ. შ. ათვის განემარტა საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის მოტივი და კლიენტთან შეეთანხმებინა გადაწყვეტილება, ვინაიდან ადვოკატი უნდა მოქმედებდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე,

რადგან ადვოკატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უშუალოდ კლიენტის ინტერესებს ეხებოდა, ასევე განემარტა, თუ რა საფრთხეს შექმნიდა საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვა.

6.7 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს, რომ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტამდე ვ. ქ. – ის მიერ განხორციელებული ქმედებების თაობაზე კლიენტს არ აქვს პრეტენზია ადვოკატის მიმართ. იმ ეტაპიდან, როდესაც კლიენტის (მოცემულ შემთხვევაში მისი მეუღლის, როგორ კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირის) სურვილით საქმეში ჩაერთო სხვა ადვოკატი, ამან გამოიწვია ვ. ქ. – ის გაღიზიანება, რადგან ამ უკანასკენლს მიაჩნდა, რომ კოლეგის დახმარებას არ საჭიროებდა. ადვოკატის ამ პოზიციასთან დაკავშირებით განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატს არ აქვს უფლება პირადი პროფესიული ინტერესები დააყენოს კლიენტის ინტერესებზე მაღლა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, კლიენტის ინტერესების უპირატესობის დაცვით, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კლიენტის (მისი უფლებამოსილი პირის) პირის მითითებებით და საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შესახებ ადვოკატს პირადად უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია საკუთარი კლიენტისათვის.

6.8 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შეფასებით, ის ფაქტი, რომ ადვოკატმა პროცესის დაწყებამდე ერთი საათით ადრე შეიტყო კლიენტის მიერ საქმეში ჩართული მეორე ადვოკატისაგან, რომ "საქმეს უჭირდა... საჭირო იყო სხვა ტაქტიკის შემუშავება", შესაძლოა იყოს საქმეში უკვე მონაწილე ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკისა და კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიისათვის საფრთხე; ვ. ქ. - ს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული სააპელაციო სასამართლოს სამ სხდომაში და მიმდინარეობდა მოწმეთა დაკითხვა, აქედან გამომდინარე, ეთიკის კომიიის შეფასებით, ორი და მეტი ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერსების დაცვისას, ადვოკატებს შორის კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, პოზიციების წინასწარ შეუთანხმებლობისა და შეჯერების გარეშე, სასამართლო სხდომაზე მონაწილეობას, შესაძლოა წარმოექმნა კლიენტის ინტერესებისათვის საფრთხე, როდესაც ადვოკატებს კლიენტთან კონსულტაციის და დაცვის პოზიციის ურთიერთშეჯერების გარეშე მოუწევდათ კლიენტის წარმოდგენა.

6.9 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს." ამავე კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში." ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ თუ ,,ადვოკატს, რომლის წინააღმდეგაც შემოტანილია საჩივარი,

შეუწყდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა.“ ადვოკატმა ვ. ქ. – მ 2014 წლის 20 მარტს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ მიმართა წერილობით პირადი განცხადების საფუძველზე ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობის შეჩერების შესახებ. როგორც სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატთა ერთიანის სიის მიხედვით დგინდება, ადვოკატ ვ. ქ. – ს დისციპლინური საქმის განხილვისას შეჩერებული არ აქვს წევრობა, ვინაიდან ფინანსური განყოფილების მონაცემებით ადვოკატ ვ. ქ. – ს ერიცხებოდა 2014 წლის საწევრო დავალიანება და იგი ირიცხება საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სიაში. მას უფლებამოსილება შეუჩერდებოდა საწევრო დავალიანების გადახდის შემდეგ. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატ ვ. ქ. – ს 2014 წლის 29 მარტისთვის შეჩერებული არ აქვს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა, არ არსებობს დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საფუძველი და ეთიკის კომისია უფლებამოსილია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტით, 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით; მე–6 მუხლის მე–2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, მე-16, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, 38-ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ვ. ქ. – ს /სიითი№/ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შესახებ არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/